გიორგი ქელეხსაშვილი
ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამა, თსუ
Giorgi.kelekhsashvili559@hum.tsu.edu.ge

ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეებთან

საკვანძო სიტყვები: ოსტ-ინდოეთის კომპანია, ბრაჰმო სამაჯი, სიფაჰები, ილ-ბერტის ბილი, ინდოეთის ეროვნული კონგრესი, ბჰაგავადგიტა

Keywords: East India Company, Brahmo Samaj, Sepoy, Ilbert Bill, Indian National Congress, Bhagavad Gita

XIX საუკუნის დასაწყისში ინდოელთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯერ კიდევ შუასაუკუნეობრივი, ფეოდალური ურთიერთობები ბატონობდა. ნაციონალიზმისა და პატრიოტული გრძნობების გამაერთიანებელი იდეოლოგიის არარსებობის პირობებში, კოლონიური ხელისუფლება, რომელსაც დიდი ბრიტანეთი ოსტ-ინდოეთის კომპანიის მეშვეობით მართავდა, ადგილობრივებს მარტივად იმორჩილებდა და მათ ექსპლუატაციას, მზარდი იმპერიალისტური ინტერესების შესაბამისად, დღითიდღე ამკაცრებდა. ყველა საგადასახადო, საპოლიციო, სასამართლო და ადმინისტრაციული აპარატის სათავეში ინგლისელი მოხელეები იდგნენ. ერთ დროს ძლევამოსილი დიდ მოგოლთა იმპერიის იმპერატორი, ფაქტობრივად, ბრიტანელთა მარიონეტად იყო ქცეული. ინდური არისტოკრატია კმაყოფილდებოდა კოლონიზატორებთან კავშირით და იმ კეთილდღეობით, რომელსაც საკუთარი თანამოძმე, დაბალი ფენების ძარცვის შედეგად იღებდა. ისინი ხშირად ბრიტანელებს ჰბაძავდნენ, მათ ტანისამოსსა და ცხოვრების წესს ირგებდნენ, რათა თავი „ინგლისელებად“ წარმოეჩინათ. არ არსებობდა ერთიანობის გრძნობა, ინდოეთის, როგორც ერის წარმოდგენა.

სასტიკი ექსპლუატაციის წინააღმდეგ პერიოდულად მხოლოდ დაბალი ფენის წარმომადგენლები თუ გამოდიოდნენ, რომელთა ეკონომიკური ხასიათის ლოკალურ აჯანყებებს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგები ვერანაირად ექნებოდა. აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ინდოეთში, რომელიც მხოლოდ გეოგრაფიულ ცნებას წარმოადგენდა, მოსახლეობის გონებაში რევოლუცია მომზადდებოდა, სხვადასხვა კლასებად თუ კასტებად დაშლილი საზოგადოება ერთმანეთს დაუკავშირდებოდა და XIX ს. მიწურულს ეს ქვეყანა ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ეროვნულ მოძრაობას ჩამოაყალიბებდა, რომელიც კაცობრიობას ოდესმე უნახავს (Pande 1985: 81-82).

კოლონიური მმართველობისგან თავის დაღწევის გზაზე ინდოეთმა საკმაოდ ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. ამ კუთხით, მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ჩაგვრისა, შეგვიძლია ვთქვათ,

რომ ინგლისმა ადგილობრივთა კონსოლიდაციისა და ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ ფენებს შორის თანდათან აქტიურად იწყებს შემოსვლას დასავლური განათლებისა და კულტურის მიღწევები. ევროპის ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლამ ინდოელთა შორის გააჩინა ისეთი ცნებები, როგორიცაა დემოკრატია, ლიბერალიზმი და ნაციონალიზმი. მონტესკიეს, ვოლტერის, რუსოს, ჰიუმისა და სხვათა იდეებმა დიდი გავლენა იქონიეს ადგილობრივთა პოლიტიკურ ცნობიერებაზე. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიურად წარიმართა 1818 წლიდან, როდესაც ბენგალში პირველი ინგლისურენოვანი კოლეჯი დაარსდა. ამიტომ გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ სწორედ ეს რეგიონი იქცა ავანგარდად XIX საუკუნეში ინდოელთა პოლიტიკური ცნობიერების გარდაქმნის საქმეში (Bose 1974: 2).

თანამედროვე განათლების დამკვიდრებას თავად კოლონიზატორები უჭერდნენ მხარს. მათ სულ უფრო აქტიურად დაიწყეს ევროპული პროგრამების მქონე საშუალო სკოლების გახსნა, რასაც უფრო გვიან მადრასში, ბომბეისა და კალკუტაში უნივერსიტეტების დაარსებაც მოჰყვა. ინგლისელთა აზრით, ეს პროცესი ხელს შეუწყობდა ახალი, განათლებული, უპრეტენზიო კლასის დაბადებას, რომელიც მასების დაშოშმინებაში აქტიურ წვლილს შეიტანდა და სახალხო მღელვარებებს შეზღუდავდა (Knight 2012: 4). ეს ახალი ფენა მართლაც სწრაფად ჩამოყალიბდა და თავიდან დიდი რწმენა და ნდობაც ჰქონდა ბრიტანული მმართველობის მიმართ, რომელმაც, მათი აზრით, ინდოეთი ერთი დროშის ქვეშ გააერთიანა, დაასრულა შიდა არეულობები, შემოიტანა დასავლური განათლება, დანერგა თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები და საფუძველი ჩაუყარა ახალ სამეცნიერო დარგს – ინდოლოგიას, რომელიც ადგილობრივებს საკუთარი მდიდარი წარსულის შესახებ მოუთხრობდა. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ახალი საშუალო კლასის საქმიანობის მთავარი მიზანი იყო ინდოეთის მმართველობის სფეროში ადგილობრივთა აქტიური ჩართვის შესაძლებლობის მოპოვება, რაზეც კოლონიზატორთა მუდმივმა უარმა მათში იმედგაცრუების გრძნობა სულ უფრო შესამჩნევი გახადა და XX საუკუნის დასაწყისში ხელისუფლებასთან პირველად დააპირისპირა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ამ პროცესს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ინდოეთში კაპიტალისტური მოწყობის საზოგადოებრივი სისტემის განვითარებამაც (Panikkar 1920: 29).

თანამედროვე ინდური ინტელიგენციის პოლიტიკური საქმიანობის ფუძემდებლად ითვლება რაჯა რამ მოჰან როი (1772-1833), რომელმაც პირველმა სცადა, საკუთარი საქმიანობით, კოლონიური მმართველობის ხასიათსა და ადგილობრივთა ცნობიერებაში კორექტივები შეეტანა. ინდოელთა „პირველმა განმანათლებელმა“, როგორც მას ხშირად უწოდებენ, ახალგაზრდობაში საკმაოდ სერიოზული ცოდნა დააგროვა, იცოდა როგორც ინგლისური, ისე ბერძნული და არაბული ენები. საზოგადოებრივი საქმიანობის დასაწყისში რამ მოჰან როიმ შეიმუშავა გარკვეული სახის რელიგიური ფილოსოფია, რომლითაც სურდა კასტური დაყოფის განადგურება. ამისათვის მან 1828 წელს დააარსა ბრაჰმო სამაჯის პირველი ინდური საზოგადოება. იგი ქადაგებდა საერო განათ-

ლების აუცილებლობას და სწამდა კოლონიური ხელისუფლებისა, რომელსაც, მისი აზრით, ინდოელები მშვიდობიანად უნდა მიეყვანა თავისუფალი სახელმწიფოს შექმნამდე (Chandra, Mukherjee... 2017: 90).

1823 წელს გენერალ-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯონ ადამმა გამოსცა განკარგულება, რომელიც ზღუდავდა პრესის თავისუფლებას. აღნიშნული დადგენილების წინააღმდეგ აქტიურად გამოვიდა რამ მოჰან როი. რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, მან სარჩელი შეიტანა უზენაეს სასამართლოში, სადაც დაასაბუთა განკარგულების უსამართლობა და მისი მიღების უსაფუძვლო ხასიათი. სარჩელი ხელისუფლებამ უგულებელყო. მაშინ, როდესაც დიდ ბრიტანეთში საარჩევნო რეფორმის გარშემო ვიგებისა (მომავალი ლიბერალები) და ტორების (მომავალი კონსერვატორები) პარტიებს შორის ცხარე კამათი მიმდინარეობდა, 1831 წელს რამ მოჰან როი ლონდონსაც ეწვია, რათა ცენტრალური მთავრობისთვის მოეთხოვა ოსტ-ინდოეთის კომპანიის სავაჭრო პრივილეგიების გაუქმება, რომლებიც ინდური მრეწველობის განვითარებას მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს. ამავე ვიზიტისას მან წამოაყენა იდეა ინდოეთის საკანონმდებლო ორგანოს ჩამოყალიბების შესახებ, სადაც ადგილობრივთა დაწინაურებულ ფენას უნდა ემსახურა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოთხოვნების უმეტესობა შეუსრულებელი დარჩა, მისმა საქმიანობამ საფუძველი ჩაუყარა მომავალ სამართლებრივ წინააღმდეგობას არსებული დისკრიმინაციული წესების მიმართ (Pande 1985: 83). იგი იყო პირველი ინდოელი, რომელიც დაინტერესდა თანადროული საერთაშორისო მოვლენებით, მათ შორის, საფრანგეთის რევოლუციითა და ბერძნების განმათავისუფლებელი ბრძოლით. ამასთან ერთად, მას მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონტაქტებიც ჰქონდა (Sarkar 1914: 174-177).

რამ მოჰან როის გარდაცვალების შემდეგ მისმა თანამოაზრეებმა განაგრძეს მუშაობა კოლონიური მმართველობის გაუმჯობესების კუთხით და აიძულეს ხელისუფლება, 1823 წელს გამოცემული პრესის შემზღუდველი აქტი უკან წაეღო. ორგანიზებული პოლიტიკური ოპოზიციის სულისკვეთებამ თანდათან თავშესაფარი პოვა სხვადასხვა ასოციაციებისა და კლუბების დაარსებაში, რომელთათვისაც დამახასიათებელი იყო ბრიტანელებთან აქტიური თანამშრომლობა. 1838 წელს მიწათმფლობელთა ასოციაცია ჩამოყალიბდა ბენგალში. მიუხედავად იმისა, რომ იგი ზამინდართა (მიწის მფლობელები) კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით დაარსდა, არ უარყოფდა გლეხი რაიოტების მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობასაც. საზოგადოებამ მიზნად დაისახა ფილიალების შექმნა მთელი ინდოეთის მასშტაბით, მასში პირველად გაჩნდა სურვილი ლეგიტიმური უფლებების მოპოვებისათვის მუშაობას გარკვეულწილად საერთო სახე მიეღო (Majumdar 1971: 280-281).

1843 წელს ისევ ბენგალში, ბრიტანელი ჯორჯ ტომპსონისა და ინდოელი დვარკანთ თაგორის ინიციატივით, დაარსდა „ინდოეთის საზოგადოება“, რომლის მიზანიც გახლდათ ინფორმაციის შეგროვება ხალხის საერთო მდგომარეობის შესახებ და მათთვის ზოგადი ცნობების მიწოდება სასამართლო ინსტიტუტების საქმიანობაზე, რათა მაქსიმალურად აეცილებინათ თავიდან

სისხლისმღვრელი საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით პერიოდულად ხდებოდა.

უნდა ითქვას, რომ ამ საზოგადოებებმა ვერ მოახერხეს საჭირო ხასიათის მიცემა პოლიტიკური საქმიანობისათვის. მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ისინი ზედმეტად შეზღუდულად მოქმედებდნენ. ერთი მათგანი მდიდარი არისტოკრატიის ინტერესებისთვის მუშაობდა, ხოლო მეორე უბრალოდ ინფორმაციას აგროვებდა მოსახლეობის მასებისგან. შესაბამისად, საჭირო პოპულარობა და მნიშვნელობის შეძენა ფაქტობრივად ვერ მოხერხდა და ეროვნული ცნობიერების წინსვლის ტემპი თითქოს ჩიხში მოექცა. ამის გამო, 1851 წლის 28 ოქტომბერს მიღებული მათი გაერთიანებისა და, შედარებით ძლიერი, ახალი, ე.წ. „ინდოეთის ასოციაციის" დაარსების გადაწყვეტილება მეტად დროული აღმოჩნდა (Majumdar 1971: 282-283).

ახალმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ შეიძინა უფრო მეტი ლეგიტიმაცია, მასებსაც აქტიურად დაუკავშირდა და კოლონიურ ხელისუფლებასაც ღიად მოსთხოვა არსებული მძიმე სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გამოსწორება. 1852 წელს ასოციაციამ მთავრობას პეტიცია წარუდგინა, სადაც ჩამოთვლილი იყო ინდოელთა ძირითადი პრობლემები. მასში პირველად გამოითქვა იმედგაცრუება იმის გამო, რომ ბრიტანული მმართველობა არათუ აუმჯობესებდა, არამედ პირიქით, სულ უფრო შეუძლებელს ხდიდა ცხოვრებას. ამასთან ერთად, პეტიცია მოითხოვდა ინდოელთათვის საჯარო სამსახურებში დასაქმების უფლების მიცემას. ამ კუთხით ხელისუფლებამ ფორმალური ხასიათის დადგენილება 1861 წელს მართლაც მიიღო, თუმცა პრაქტიკაში იგი 1892 წლის განახლებულ კანონმდებლობამდე ფაქტობრივად არ ხორციელდებოდა (Bose 1974: 30).

როდესაც ინდური ინტელიგენცია მიჰყვებოდა ამგვარ, პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის მშვიდ გზას, 1857 წლის 10 მაისს მეერუტიდან დაიწყო ისტორიული ამბოხება, რომელიც სიფაჰების (სეპოების)[1] აჯანყების სახელით არის ცნობილი (Knight 2012: 6). მან მოვლენათა მდორე დინებას სრულიად ახალი პატრიოტული ელფერი შესძინა. აჯანყების უშუალო საბაბად იქცა სამხედრო ნაწილებში ახალი, ლი-ენფილდის ტიპის შაშხანების დანერგვა, რომლის ვაზნებიც დატენამდე საქონლის ან ღორის ცხიმით უნდა გაპოხილიყო, შემდეგ კი ჩაკბეჩილიყო. აღნიშნულმა წესმა ქრისტიანი მისიონერების აქტიური შემოსვლით ისედაც უკმაყოფილო ინდუს და მუსლიმ მებრძოლებს საბოლოოდ გადააწყვეტინა თავგანწირული ბრძოლა. დაქირავებულ მეომართა შორის დაწყებული ამბოხი მალე თითქმის მთელ ჩრდილოეთ, ცენტრალურ და დასავლეთ ინდოეთს მოედო. სიფაჰებმა მოახერხეს დელის აღება და იგი საკუთარ ცენტრად გამოაცხადეს. დაბალი ფენების გმირული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის არ გავრცელებულა სამხრეთში, სადაც კოლონიურ ხელისუფლებას მტკიცედ ჰქონდა გადგმული ფესვები. მან დიდი პოპულარობა ვერც ადგილობრივ მთავართა შორის მოიპოვა, რომელთა ცნობიერება ჯერ კიდევ პირად კეთილდღეობასთან იყო გადაჯაჭვული (Kumar 1979: 20-21).

[1] ოსტ-ინდოეთის კომპანიის მიერ დაქირავებული ინდოელი მეომრები.

აჯანყება თავიდანვე გამოირჩეოდა ძლიერი ანტიბრიტანული გრძნობებით. მართალია, იგი სამხედრო ნაწილებში მომზადდა, მაგრამ რეალურად უბრალო მოსახლეობის საერთო მძიმე სოციალური მდგომარეობის გამოძახილი იყო. ამის დასამტკიცებლად იმის აღნიშვნაც საკმარისია, რომ სიფაჰებს მეორენაირად „ფორმიან გლეხებსაც“ უწოდებდნენ, რადგან ისინი წარმოშობით, ძირითადად, მოსახლეობის ღარიბი ფენებიდან იყვნენ და მდგომარეობით მათგან დიდად არც განსხვავდებოდნენ, შესაბამისად, აჯანყებამ საკუთარ თავში სამხედროთა წყენა, ეროვნული სიძულვილი და რელიგიური ფანატიზმი გააერთიანა.

აღნიშნული აჯანყებისთვის კოლონიურმა ხელისუფლებამ ყველანაირი პირობა შექმნა, როდესაც მოსახლეობის მძიმე ეკონომიკურ ექსპლუატაციას დაუმატა მათი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა და სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაცია. ამასთან ერთად, ხშირად გლეხები, რომლებიც გადასახადებს ვერ იხდიდნენ, იძულებით იგზავნებოდნენ იმპერიის სხვადასხვა სამფლობელოებში სამუშაოდ. ასე მოხვდნენ ინდოელები კანადასა და სამხრეთ აფრიკაში, სადაც, მოგვიანებით, თანამოძმეების სავალალო მდგომარეობის ხილვით შეწუხებულმა მაჰათმა განდიმ, საფუძველი ჩაუყარა თავის ცნობილ არაძალადობრივი წინააღმდეგობის სტრატეგიას – სატიაგრაჰას (Gandhi 1961: 62).

მიუხედავად მოსახლეობის დაბალი ფენების მასშტაბური დარაზმულობისა, დიდმა ბრიტანეთმა, ძალების მაქსიმალური დაძაბვით, საბოლოოდ, მაინც შეძლო სიფაჰების აჯანყების ჩახშობა. 1857 წლის სექტემბერშივე კოლონიზატორებმა მოახერხეს დელის დაბრუნება, რომლის აღების დროს გაუგონარი სისასტიკე გამოიჩინეს, აჯანყებული მეომრები ზარბაზნებზე მიაკრეს და ისე დახვრიტეს. ამგვარ მეთოდებს ისინი ხშირად იყენებდნენ, რასაც აჯანყებულებიც შესაბამისად პასუხობდნენ, ატყვევებდნენ ინგლისელ ჩინოვნიკთა ოჯახებს და სასტიკი მეთოდებით უსწორდებოდნენ (Majumdar 1971: 195-196).

აჯანყების ჩახშობას დიდად შეუწყო ხელი ინტელიგენციის პოზიციამ, მან კოლონიზატორებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. ზემოთ ნახსენები „ინდოეთის ასოციაცია“ გაემიჯნა ამბოხს და მოსახლეობას მშვიდობისკენ მოუწოდა, რის გამოც, აჯანყების დასრულების შემდეგ, მან თავისი პოპულარობა დაკარგა და მალე დაიშალა. ამბოხებულ მოსახლეობას სურდა ძველი, ტრადიციული ცხოვრების აღდგენა და კვლავ დიდ მოგოლთა იმპერიის ქვეშევრდომობა. ამის გამოხატულება იყო ის ფაქტი, რომ მათ საკუთარ წინამძღოლად ოსტ-ინდოეთის ხელქვეითი, უკანასკნელი იმპერატორი ბაჰადურ შაჰ II გამოაცხადეს. შესაბამისად, ახლად ფეხადგმულ განათლებულ საშუალო კლასს ცუდსა და უარესს შორის მოუწია არჩევანის გაკეთება და კვლავ კოლონიური ხელისუფლება არჩია, რომელიც, მათი აზრით, უფრო მეტად შეუწყობდა ხელს ინდოეთის თანამედროვე ტიპის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მომზადების პროცესს. აჯანყებულთა დაქსაქსული რაზმები საბოლოოდ 1859 წლისთვის განადგურდა. ხელისუფლებამ სასტიკად იძია შური მოსახლეობაზე, გადაწვა მრავალი ქალაქი და დაბა. ამიტომაც იყო, რომ სახალხო მღელვარებებს ასეთი მასშტაბური სახე XIX საუკუნის დასასრულამდე აღარც მიუღია (Chandra, Mukherjee... 2017: 42).

სიფაჰების აჯანყებას აკლდა ორგანიზებულობა, დისციპლინა და გამოცდილი ხელმძღვანელობა. ამბოხებულებს არ ჰქონდათ საბრძოლო იარაღის შევსების არანაირი საშუალება, რის გამოც, ხშირად უბრალო ხმლით ან მტრისთვის წართმეული თოფებით იბრძოდნენ. ამასთან ერთად, ეკონომიკურად ჩამორჩენილ აჯანყებულ ჩრდილოეთს დაუპირისპირდა ინგლისი, რომელმაც შეძლო განვითარებულ სამხრეთში ვითარების გამწვავების თავიდან აცილება. ყველაფერთან ერთად, მოსახლეობა არ აღმოჩნდა მზად ახალი პოლიტიკური სისტემის შესაქმნელად. აჯანყების მიმდინარეობისას მათი მთავარი მიზანი იყო ძველი, ტრადიციული საზოგადოებრივი ურთიერთობების აღდგენა, რამაც თანამედროვე ეკონომიკური სისტემის პრივილეგიებს ნაზიარებ დაწინაურებულ ფენათა შორის დიდი მხარდაჭერა ვერ დაიმსახურა.

მიუხედავად წარუმატებლობისა, ამ აჯანყების მნიშვნელობა თანამედროვე ინდოეთის მოსახლეობის პოლიტიკური ცნობიერების გარდაქმნის საქმეში დიდია. მან პირველად დაანახა ადგილობრივებს ერთიანობის ძალა. ინდუსმა და მუსლიმმა მოსახლეობამ შეძლო ერთმანეთთან კავშირის დამყარება საერთო ქრისტიანი მტრის წინააღმდეგ. სიფაჰების აჯანყებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ინდოეთში პატრიოტული სულისკვეთების გამოღვიძებას ერთიანი, ძლიერი და თავისუფალი ქვეყნის შესაქმნელად (Buch 1940: 2). ამ ყველაფერს მტკიცე ნაციონალისტურ მოძრაობამდე გარდასაქმნელად თითქოს ერთი რამ აკლდა – საერთო იდეოლოგია, რომელიც მასებსა და განათლებულ საშუალო კლასს ერთმანეთთან დააკავშირებდა. ეს პროცესი კი ინდოეთში 1860-1870-იან წლებში აქტიურად გაიშალა და, საბოლოოდ, 1885 წლის 28 დეკემბერს, ბომბეიში ეროვნული კონგრესის პირველი სესიის გახსნით დასრულდა (Chandra, Mukherjee... 2017: 90).

სიფაჰების აჯანყების მიმდინარეობისას დიდი ბრიტანეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ ნათლად დაინახა ინდოეთის კოლონიურ მმართველობაში ცვლილებების აუცილებლობა. პირველ რიგში, 1858 წლის 2 აგვისტოს პარლამენტის დადგენილებით გაუქმდა ოსტ-ინდოეთის კომპანია და რეგიონში გვირგვინის პირდაპირი ძალაუფლება დამყარდა. აქედან იწყება ე.წ. „ბრიტანული რაჯის“ ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც 1947 წელს ინდოეთისა და პაკისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბებით სრულდება.

აღმასრულებელი ხელისუფლება გადაეცა ვიცემეფეს. მასთან ერთად შეიქმნა 15-კაციანი სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ გადამდგარი გენერლები და ყოფილი კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრები. შეიქმნა ინდოეთის საქმეთა მინისტრის თანამდებობაც. მას პერიოდულად პარლამენტისთვის უნდა წარედგინა მოხსენება რეგიონში არსებული მდგომარეობის შესახებ. დედოფალი ვიქტორია ოფიციალურად ინდოეთის იმპერატორად გამოცხადდა დელიში, ვიცემეფე ლორდ ლიტონის ხელმძღვანელობით გამართულ დურბარზე (საზეიმო მიღება სასახლის კარზე) 1877 წლის პირველ იანვარს (Knight 2012: 14-15).

1858 წლის პარლამენტის დადგენილებასთან ერთად გამოქვეყნდა დედოფლის წერილი, რომელიც ინდოელებს არსებული მდგომარეობის გამოსწორე-

ბას ჰპირდებოდა. მისი თქმით, შემცირდებოდა მიწის გადასახადი და აიკრძალებოდა გლეხების ქვეყნიდან გაყვანა ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში. ამასთან ერთად, ინდოელ წარჩინებულ ფენებს ვიქტორია ჰპირდებოდა მმართველობით სფეროში აქტიურად ჩართვას და ყოველგვარი დისკრიმინაციული წესების გაუქმებას. წერილმა ინდოეთში დიდი აჟიოტაჟი და სიხარული გამოიწვია, ისეთ დიდ ქალაქებში, როგორებიცაა კალკუტა, მადრასი და ბომბეი სახალხო ზეიმებიც კი მოეწყო, თუმცა, რეალურად ტექსტის შინაარსი მხოლოდ ლამაზ სიტყვებად დარჩა და საზოგადოების ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა (Pande 1985: 59).

ბრიტანელებმა კოლონიური ექსპლუატაციის ფორმები უფრო შეფარვითი გახადეს. მათ შეამცირეს ინდოელთა ხვედრითი წილი დაქირავებულთა რაზმებში და ადგილობრივ მთავრებთან კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობები დაამყარეს. „დაყავი და იბატონე“ – ეს იყო მათი მთავარი დევიზი, რომლის მიხედვითაც, დაიწყეს ინდუს და მუსლიმ მოსახლეობას შორის დაპირისპირების ხელოვნურად გაღვივება. მათი ხელშეწყობით, 1875 წელს სიდ ამირ ხანი ჯერ მუსლიმთა კოლეჯს აარსებს, ხოლო 1877 წელს მათთვის ასოციაციასაც აყალიბებს (Pande 1985: 88). შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორი რელიგიური ჯგუფის გათიშვას სწორედ ამ პერიოდიდან ეყრება საფუძველი, რომელიც 1906 წელს, ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარალელურად, მუსლიმთა ლიგის დაარსებით გრძელდება და 1947 წელს ინდოეთისგან პაკისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოყოფით სრულდება. ამ პროცესს სულაც არ ჩაუვლია უმტკივნეულოდ, მან განსაკუთრებული სისასტიკით თავი განმათავისუფლებელი ბრძოლის უკანასკნელ ეტაპზე იჩინა, როდესაც დაპირისპირებამ ორ რელიგიურ ჯგუფს შორის შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

1860-იან წლებში, მზარდი კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, კოლონიზატორებმა გაიყვანეს მრავალი გზა და ხიდი, ქვეყანა დაიქსელა რკინიგზით, იალქანი ორთქლმავალმა შეცვალა, დაიწყო ტელეგრაფის გამოყენება. რკინიგზას, ეკონომიკურთან ერთად, მნიშვნელოვანი სამხედრო დანიშნულებაც ჰქონდა. ის ხელს უწყობდა ჯარების სწრაფ გადაადგილებას ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში საპროტესტო გამოსვლის შემთხვევაში. ამ პროცესმა, მართალია, მოსახლეობას უფრო ახლო ურთიერთობის შესაძლებლობა მისცა, მაგრამ, თავის მხრივ, გლეხებსა და თანამედროვე ტიპის ფაბრიკებში მომუშავე ადგილობრივთა მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა, რასაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო 1869 წელს სუეცის არხის გახსნამ, რომელმაც მგზავრობის დრო ლონდონიდან კალკუტამდე თითქმის სამჯერ შეამცირა. სულ მალე, 1875 წელს ბრიტანეთმა შეძლო ამ არხის აქციების საკონტროლო პაკეტის ყიდვაც, შესაბამისად, ამიერიდან კოლონიზატორებსა და ადგილობრივ მთავრებს გლეხებისგან მიჰქონდათ არა მარტო ზედმეტი, არამედ აუცილებელი პროდუქციაც, რის შედეგადაც, შიმშილი ინდოელთა ცხოვრებაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მთლიანობაში, XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში მას 20 მილიონი ადგილობრივის სიცოცხლე შეეწირა (Knight 2012: 8-9).

არ გაუმჯობესებულა არც საშუალო ფენის პოლიტიკური მდგომარეობა. ისინი კვლავ ხშირად განიცდიდნენ დისკრიმინაციას, რის გამოც ინტელიგენციამ დაკარგა ნდობა კოლონიური მმართველობის თავისთავადი გაუმჯობესებისადმი და ბენგალში 1860-70-იან წლებში დაიწყო აქტიური ლიტერატურული საქმიანობა მოსახლეობის ფართო მასებისათვის საკუთარი ქვეყნის კულტურული ღირებულებების გასაცნობად, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საბეჭდი მანქანის გამოგონებამ და, შესაბამისად, საგამომცემლო საქმიანობის გაძლიერებამ.

ამ პერიოდის ბენგალური ლიტერატურის კორიფეთა შორის უნდა გამოვარჩიოთ დინაბანდჰუ მითრა (1829-1873) და ბანკიმ ჩანდრა ჩოტოპადჰაიე (1838-1894). მათ დაიწყეს ე.წ. „სახალხო ენით“ წერა, რითაც შექმნეს საყრდენი სხვადასხვა კასტისა და კლასის დასაკავშირებლად და საფუძველი ჩაუყარეს ინდოელთა ეროვნულ თვითშეგნებას, რაღაც ახლებურ, კერძო ინტერესებიდან გამოსულ ცნობიერებას, რომელიც იქცა წინაპირობად ჯერ ინდოეთის ეროვნული კონგრესის დასაარსებლად, ხოლო შემდგომში ბიძგი მისცა ამ ორგანოს, რათა ეტვირთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მებაირახტრის ტვირთი. მათვე პირველად გაილაშქრეს ინდოელთა ისეთი მანკიერი ტრადიციების წინააღმდეგ, როგორებიც იყო ქვრივ ქალთა ცოცხლად დაწვის პრაქტიკა (ე.წ. სატი), მცირეწლოვან ბავშვთა ქორწინება და ჩვილი გოგონების გაგუდვა. აღნიშნულ პერიოდში გამოცოცხლებული კულტურული საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მიღწევად ითვლება 1872 წელს კალკუტაში ინდოეთის ეროვნული თეატრის დაარსება (Bose 1974: 23).

1860-იან წლებში ზემოთ აღნიშნული ერთგვარი კულტურული რევოლუციის წამომწყებთა შორის ასევე უნდა ვახსენოთ ბაჯუ რაჯნარაიანი, რომელიც აღფრთოვანებით წერდა ინდოეთის წარსულ დიდებულებასა და ღირსებებზე. მან და მისმა მომხრეებმა აქცენტი გააკეთეს არა დასავლური სამყაროს კვლევების გაღრმავებაზე, არამედ საკუთარი ქვეყნის იდენტობის შესწავლაზე. 1866 წელს მათ დააარსეს ახალი საზოგადოება ბენგალში, რომელსაც ამ მიმართულებით უნდა ემუშავა და ფართო მასებისთვის ინდოეთის დიდებული წარსული გაეცნო. ბენგალურ ენაზევე დაიწყო ევროპაში უკვე ფართოდ ცნობილი ინდოლოგიის უმნიშვნელოვანესი კვლევების თარგმნა და გამოქვეყნება (Bose 1974: 21).

1867 წელს ამ საზოგადოების ხელშეწყობით კალკუტაში საფუძველი ჩაეყარა ახალ ფესტივალს, რომლის უმთავრესი მიზანი იყო ადგილობრივთა შორის სიამაყის გრძნობის გაღვივება, მათთვის ტრადიციული მუსიკისა და პოეზიის გაცნობა, სხვადასხვა თეატრალური წარმოდგენების გამართვა და ამგვარი გასართობ-შემეცნებითი საქმიანობა. ამასთან ერთად, აღნიშნულ ფესტივალს გარკვეულწილად პოლიტიკური ხასიათიც ჰქონდა. მასზე აქტიურად იყიდებოდა ხელნაკეთი ნივთები. ამით ორგანიზატორებს სურდათ დიდი ბრიტანეთის საფაბრიკო წარმოებისათვის პროტესტი გამოეცხადებინათ, რომელიც ადგილობრივი მრეწველობის განვითარებას მნიშვნელოვნად ზღუდავდა. ფესტივალმა ტრადიციული ხასიათი მიიღო და ყოველწლიურად იმართებოდა. როგორც შემდგომში თანამედროვე ბენგალური სალიტერატურო ენის ერთ-ერთი

ფუძემდებელი რაბინდრანათ თაგორი შენიშნავდა, მართალია, მას არ ჰქონდა გადამწყვეტი პოლიტიკური ხასიათი, მაგრამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მრავალ ნაწილად დაქუცმაცებული ინდური საზოგადოების შეკავშირებასა და მათი კულტურული თავისებურებების დაახლოებას (Bose 1974: 22).

კულტურული საქმიანობის გაღრმავებამ 1870-იან წლებში ხელი შეუწყო ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის დაფუძნებას, რომელსაც აღარ ჰქონდა კერძო ხასიათი და გამოხატავდა ინდოელთა ყველა ფენისა თუ კასტის საერთო წუხილს არსებული კოლონიური ექსპლუატაციისა და იმპერიული ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ ევროპაში განათლებამიღებული ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთა შრომაც ფაქტობრივად წყალში გადაყრილი აღმოჩნდა, რადგან მათი კანდიდატურა სხვადასხვა სახის მნიშვნელოვან თანამდებობებზე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე იბლოკებოდა (Banerjea 1925: 12-13). ისინი ხშირად განიცდიდნენ სხვა სახის დისკრიმინაციასაც, მაგალითად, აკრძალული ჰქონდათ ინგლისელებთან ერთად ჭამა და მგზავრობა. ამის გამო, მათ დაიწყეს ბრძოლა ინდოელთათვის პარლამენტის ტიპის წარმომადგენლობითი ორგანოს დასაარსებლად და საბაზისო უფლებების მოსაპოვებლად, რომლებიც ინგლისური კანონმდებლობის მთავარ ღირებულებებად იყო გამოცხადებული. ისინი, მსგავსად მათი წინა თაობისა, ჯერ კიდევ არ იყვნენ რადიკალურად განწყობილი კოლონიური მმართველობის მიმართ. მათ სურდათ, ისეთი თავისუფალი საზოგადოებრივი გარემოს შექმნა, როგორიც ინგლისში არსებობდა, მოთხოვნების თავდაპირველი ხასიათი არ სცილდებოდა, კოლონიური მმართველობის პირობებში, თანასწორობის მიღწევას და ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას (Bose 1974: 24-25).

კონგრესის წინამორბედ პოლიტიკურ ორგანიზაციას საფუძველი ჩაუყარა დადაბჰაი ნაოროჯიმ, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა ქვეყნის ბედით შეწუხებული ახალგაზრდობა, რომელთა შორისაც იყვნენ კაშინათ ტრიმბაკ ტელანგი, სურენდრანათ ბანერჯი, ფჰეროზეშაჰ მეჰტა, ვომეშ ჩანდრა ბონერჯი (შემდგომში ინდოეთის ეროვნული კონგრესის პირველი პრეზიდენტი) და გოპალ კრიშნა გოქალე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანესი მოღვაწე, მაჰათმა განდის მასწავლებელი და სამხრეთ აფრიკაში მისი პოლიტიკური საქმიანობის დიდი ქომაგი. განდი ერთი თვე გოქალეს სახლში ცხოვრობდა კიდეც, რათა აფრიკიდან დაბრუნებული ინდოელთა საქმეებში და ეროვნული კონგრესის მუშაობაში უკეთ გარკვეულიყო. როგორც იგი შემდგომში წერდა, გოქალეს საუბარი ყოველთვის საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვას ეხებოდა და აღმზრდელობით ხასიათს ატარებდა (განდი 2011: 185). დავუბრუნდეთ კვლავ დადაბჰაი ნაოროჯის გარშემო შემოკრებილ ახალგაზრდათა ჯგუფს, რომელთაც მხარდაჭერა ლონდონში მცხოვრებმა ინდოელებმაც გამოუცხადეს და ინგლისელი მოსახლეობისათვის რეგიონში არსებული რეალური მდგომარეობის გასაცნობად სამოქალაქო საზოგადოებაც შექმნეს (Bose 1974: 23-26).

ასეთი მზარდი პატრიოტული მუხტის პირობებში, ზემოთ ნახსენები ახალგაზრდები 1876 წელს ბენგალში აარსებენ ინდოეთის ახალ ასოციაციას, რომე-

ლმაც პირველად შეძლო მრავალი ადამიანის საერთო ეროვნული იდეის ქვეშ გაერთიანება. დაიწყო მუშაობა ინდუს და მუსლიმ მოსახლეობას შორის თანამშრომლობისათვის და ორგანიზება გაუწია მრავალი ლექციის ჩატარებას ინდოეთის ისეთ პერიფერიებში, სადაც მოსახლეობას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შესაძლებლობა საგაზეთო სტატიებისა თუ თანამედროვე ლიტერატურული ნაწარმოებების წაკითხვისა. სწორედ ეს საზოგადოება გახდა ინდოეთის ეროვნული კონგრესის წინამორბედი (Pande 1985: 87).

ახალმა საზოგადოებამ ძალიან მალე მთელი ქვეყანა მოიცვა. მისი მნიშვნელობა და ინდოეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ხასიათი, როგორც ჩანს, ცენტრალურმა ხელისუფლებამ თავდაპირველად სწორად ვერ გაიგო და გადაწყვიტა, რეპრესიული ზომებით მოძრაობა ერთი ხელის მოსმით გაენადგურებინა. ამ პროცესს სათავეში ჩაუდგა ზემოთ უკვე ნახსენები რობერტ ლიტონი, რომელიც 1876 წელს ბრიტანული რაჯის ვიცემეფე გახდა. პირველ რიგში, 1878 წელს მან გამოსცა ე.წ. იარაღის აქტი, რომელიც კრძალავდა ადგილობრივთათვის ყველანაირი იარაღის ტარებას. ამასთან ერთად, მან გამოაცხადა სამხედრო ნაწილების მობილიზება ისეთ ადგილებში, სადაც ღიად ხდებოდა კოლონიური მმართველობის არსებული წესების გაკრიტიკება. იმავე წელს გამოიცა ე.წ. პრესის აქტი, რომლითაც ინდური პრესა უნდა დაჰქვემდებარებოდა ხელისუფლების ცენზურას. აღნიშნული დადგენილება განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ადგილობრივთათვის, რადგან მათთვის პრესა იყო უმთავრესი საშუალება მძიმე სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის მეტ-ნაკლებად გასაქარვებლად (Knight 2012: 17).

აღნიშნულ გადაწყვეტილებებს თან დაერთო 1878 წელს დაწყებული ახალი ომი ავღანეთის წინააღმდეგ, ამ მიმართულებით რუსეთის იმპერიის მზარდი ინტერესების შესაკვეცად. ომის დასაფინანსებლად კოლონიზატორებმა დაბალ ფენებს გადასახადები კიდევ უფრო გაუზარდეს (Knight 2012: 17). ხელისუფლების მოლოდინი, რომ ამგვარი მეთოდებით ახლად დაბადებულ, მათთვის საშიშ მოძრაობას გაანადგურებდნენ, არ გამართლდა და საპირისპირო შედეგები მოჰყვა. ინდოეთი კვლავ დადგა 1857 წლის მსგავსი, მასშტაბური აჯანყების წინაშე. სხვადასხვა რეგიონში უკვე მიმდინარეობდა გლეხთა სტიქიური გამოსვლები. დენთის კასრს ასაფეთქებლად თითქოს ბევრი არაფერი აკლდა, როდესაც დიდი ბრიტანეთის ლიბერალურმა ხელისუფლებამ, პრემიერ მინისტრის თანამდებობაზე დაბრუნებული გლადსტონის ხელმძღვანელობით, გადაწყვიტა უკან დაეხია და ინდოეთის ვიცემეფედ 1880 წელს რეფორმატორი ჯორჯ რობინსონი (ლორდი რიპონი) დანიშნა (Chandra, Mukherjee... 2017: 15).

ლორდმა რიპონმა კარგად დაინახა ვითარების რეალური ხასიათი და 1881 წელს გააუქმა პრესის შემზღუდველი აქტი. ადგილობრივთა გულის მოსაგებად შემოიღო აგრეთვე ე.წ. თვითმმართველობის კანონი, რომლის შედეგადაც ინდოელებს ეძლეოდათ სასოფლო და საქალაქო ადმინისტრაციებში შედარებით დაბალ თანამდებობებზე მუშაობის უფლება. თითქოს „საქმე დაიძრა“ და მდგომარეობა გამოსწორების გზას ადგა. მან მხარდაჭერა გამოუცხადა ე. წ. „ილბერტის ბილსაც“, რომლის მიხედვითაც ინდოეთში უნდა გაუქმებული-

ყო ევროპელთათვის არსებული ცალკე სასამართლოები და ისინი უფლებრივი მდგომარეობით ადგილობრივებს გათანაბრებოდნენ, თუმცა ლონდონში ცენტრალურმა ხელისუფლებამ, ინდოეთში მოღვაწე გავლენიანი პირების ზეგავლენით, დაბლოკა ახალი კანონპროექტი და პროგრესული რეფორმებისკენ სვლაც შეაჩერა. აღნიშნული კანონპროექტის ჩავარდნის შემდეგ სურენდრანათ ბანერჯიმ გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი, სახელწოდებით „ბენგალი", სადაც მწვავედ გააკრიტიკა კოლონიური მმართველობის ხასიათი და ის უსამართლობა, რომელიც ადგილობრივთა ცხოვრების ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩანდა (Buch 1940: 21-22).

ამ წერილის გამოქვეყნების გამო სურენდრანათ ბანერჯი დააპატიმრეს და ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს, რამაც დიდი საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია ბენგალში, რომელსაც მოსახლეობა სხვადასხვა რეგიონიდან აქტიურად შეუერთდა. მათთვის აშკარა გახდა, რომ თუ ხელისუფლებას ეს უსამართლობაც შერჩებოდა, მათი უფლებებისათვის ბრძოლას საფუძველი საბოლოოდ გამოეცლებოდა. მზარდი საპროტესტო ტალღის ფონზე, ინდოეთის ასოციაციის დამფუძნებლებმა გადაწყვიტეს ამ მღელვარებისთვის გარკვეული ორგანიზებული სახე მიეცათ და 1883 წელს კალკუტაში მოიწვიეს პირველი ეროვნული კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ სხვადასხვა პროვინციის წარმომადგენლები. კონფერენციამ განიხილა და მიიღო მრავალი რეზოლუცია, მათ შორის, თავისუფალი სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბების, ადგილობრივთა განათლების ხელშეწყობის, პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიურად ჩართვის და დისკრიმინაციული კანონმდებლობის გაუქმების შესახებ. ამ მოთხოვნათა მნიშვნელოვანი ნაწილი მომავალში შეიტანეს ეროვნული კონგრესის დამფუძნებელი აქტში (Pande 1985: 90).

მზარდმა საპროტესტო განწყობილებამ საბოლოოდ აიძულა ახალი ვიცე-მეფე ლორდი დაფერინი, რომ ძალაუფლების შესანარჩუნებლად უკან დაეხია და ადგილობრივთათვის წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნის უფლების მიეცა. ამ გადაწყვეტილების მიღებისას მასზე დიდი გავლენა იქონია სამსახურიდან გადამდგარი გამოცდილი ინგლისელი მოხელის ალან ოქტავიან ჰიუმის პოზიციამ, რომლის აზრითაც, ეს დათმობა კოლონიური ხელისუფლებისათვის სასარგებლოც კი იქნებოდა, ადგილობრივებს დააშოშმინებდა და ხელს შეუწყობდა რადიკალური ჯგუფების გაკონტროლებას (Wedderburn 1913: 59-60). გარდა ამისა, ინდოელ ნაციონალისტებთან ლოიალური ურთიერთობის არჩევაზე გავლენა იქონია ავღანეთზე რუსეთის მხრიდან განხორციელებულმა შეტევამაც, რომელმაც მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა დიდი ბრიტანეთის კოლონიურ ძალაუფლებას აღმოსავლეთში. შესაბამისად, დაიწყო მოლაპარაკებები ბენგალელ ნაციონალისტებთან, რომლებთანაც შეთანხმების შედეგად, 1885 წლის 28 დეკემბერს ბომბეიში საზეიმო ვითარებაში 72-მა დელეგატმა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ვომეშ ჩანდრა ბონერჯის წინამძღოლობით, საფუძველი ჩაუყარა ინდოეთის ეროვნულ კონგრესს.

ამით დასრულდა ინდოელთა საბოლოოდ შეკავშირების ის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. ეს ორგანო გახდა პოლიტიკური

პლატფორმა, ორგანიზაციული შტაბი, ახალი ეროვნული სულისკვეთებისა და ადგილობრივთა პოლიტიკური გამოღვიძების სიმბოლო (Bose 1974: 31-32). როგორც დავინახეთ, ეროვნული კონგრესის დაარსება არ მომხდარა სპონტანურად და ამ მოვლენას კულტურულ და პოლიტიკურ დონეზე მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა წინ. კონგრესის დაფუძნებით ინდოეთის ახალ ისტორიაში საფუძველი ეყრება დემოკრატიული პრინციპების მქონე თანამედროვე საზოგადოების მშენებლობას, რომელიც გამოსულია კერძო ინტერესების ზეგავლენიდან და მოქმედებს ადგილობრივთა საერთო კეთილდღეობის მისაღწევად. როგორც რაბინდრანათ თაგორი შემდგომში კონგრესზე საუბრისას აღნიშნავდა, ამ ორგანოს თავიდანვე ჰქონდა უმთავრესი, ხალხის ხმა, რომელსაც შეეძლო დიდი საქმეების კეთება (Pande 1985: 108).

ეროვნული კონგრესის „დამფუძნებელ მამებს“ სურდათ, შეექმნათ სეკულარულ პრინციპზე დამყარებული წარმომადგენლობითი ორგანო, სადაც ნებისმიერი ჯგუფის პოზიცია მათი რაოდენობის პროპორციულად იქნებოდა წარმოდგენილი. კონგრესის პირველ სხდომაზე მიღებული დამფუძნებელი აქტი, როგორც ზემოთაც ვახსენე, ძალიან ჰგავდა ეროვნული კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციებს. თავიდანვე, კონგრესი გაემიჯნა ყოველგვარ ძალადობას და კოლონიურ ხელისუფლებასთან, საწყის ეტაპზე, ურთიერთთანამშრომლობის სტრატეგია აირჩია. ამგვარმა მიდგომამ, ბრიტანელთა ლიბერალურ პოლიტიკასთან ერთად, კონგრესმენებს მნიშვნელოვნად გაუადვილა საქმიანობა ერის შეკავშირებისათვის და თავდაპირველად მრავალი პროგრესული ნაბიჯის გადადგმის საშუალება მისცა, რომელთა შორის, პირველ რიგში, უნდა ვახსენოთ განათლებისა და სოციალური მხარდამჭერი პროგრამები. მათი მეშვეობით შეიქმნა მრავალი საშუალო სკოლა, სადაც შეჭირვებული ოჯახიდან გამოსული ბავშვები უფასოდ სწავლობდნენ. როგორც ჩანს, ნაციონალისტები თავიდანვე სწორად ჩასწვდნენ მარტივ სიბრძნეს, რომ ერის მთავარი ძალა ცოდნაშია და ახალი ეროვნული მოძრაობა ამ პრინციპზე დააფუძნეს. ინდოეთში განათლებისა და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობისთვის 1888 წელს სპეციალური ფონდიც დაარსდა, სადაც შეძლებული ადგილობრივები მნიშვნელოვან თანხებს რიცხავდნენ (Bose 1974: 36).

სახალხო განათლების მისაღწევად კონგრესის მუშაობას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ამ პერიოდში მსოფლიო დონის ისეთი ადამიანების მოღვაწეობა, როგორებიც იყვნენ უკვე არაერთგზის ნახსენები დიდი ჰუმანისტი, პირველი აზიელი ნობელის პრემიის ლაურეატი, რაბინდრანათ თაგორი, რომელმაც მუსლიმი და ინდუსი მოსახლეობის დაახლოების მიზნით, თავი აქტიური ქადაგებითაც გამოიჩინა და ცნობილი ინდოელი ფილოსოფოსი სვამი ვივეკანანდა. ამ უკანასკნელმა საფუძველი ჩაუყარა ინდოელთათვის ისეთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლის სიღრმისეულ შესწავლას, როგორიცაა „ბჰაგავადგიტა“. მასში აღწერილმა სასტიკმა სამყარომ შემდგომში იმდენად იმოქმედა ყმაწვილი მოჰანდას კარამჩანდ განდის გონებაზე, რომ გადაწყვიტა თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად ძალადობასთან ბრძოლა გამოეცხადებინა და თავისი ცნობილი წინააღმდეგობის მოძრაობისთვისაც მკვეთრად არაძალადობრივი ხასიათი აერჩია(Sahgal 1970: 26-29).

ეროვნული კონგრესის პირველ სესიაზევე გადაწყდა, რომ იგი ყოველწლიურად, ინდოეთის მასშტაბით სხვადასხვა დიდ ქალაქში უნდა მოწვეულიყო, რათა შორეულ რეგიონებში მცხოვრები ხალხის არჩეულ წარმომადგენლებსაც საშუალება ჰქონოდათ, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მის საქმიანობაში. ყველა საკითხი, რომელსაც კონგრესის სხდომაზე წამოაყენებდნენ, უნდა განხილულიყო დებატების გზით და საბოლოო აქტიც კენჭისყრით დამტკიცებულიყო. აიკრძალა ისეთი თემების წამოჭრა, რომლებიც რომელიმე ჯგუფის გრძნობებს შეურაცხყოფდა. ამ და სხვა პროგრესული ნაბიჯების შედეგად ახალმა ორგანომ ერთგვარი მოსამზადებელი სამუშაო ჩაატარა შემდგომში დაწყებული წინააღმდეგობის მოძრაობისათვის და გარშემო შემოიკრიბა კოლონიურ ხელისუფლებასთან მებრძოლ ინდოელ ნაციონალისტთა ძირითადი ბირთვი (Sahgal 1970: 37).

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა:

- **განდი 2011:** განდი მაჰათმა ჩემი ავტობიოგრაფია, ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, თბილისი, 2011.
- **Baberjea 1974:** Surendranath Baberjea, A Nation in Making. Oxford University Press, London, 1925. Bose, Nemai Sadhan, The Indian National Movement: An Outline, Calcutta, 1974;
- **Buch 1940:** M. A Buch, Rise and Growth of Indian Militant Nationalism, Baroda, 1940;
- **Chandra, Mukherjee... 2017:** Chandra Bipan, Mukherjee Mridula, Mukherjee Aditya, Mahajan Sucheta, Panikkar K.N., India's Struggle for Independence: 1857-1947. New Delhi: Penguin India, 2017;
- **Gandi 1961:** Mohandas Karamchand Gandi, Satyagraha in South Africa. Ahmedabad: Jitendra T Desai Navajivan Publishing House, 1961;
- **Knight 2012:** Lionel Knight, Britain in India, 1858-1947, London: Anthem Press, 2012;
- **Kumar 1979:** Nagebda Kumar, Indian National Movement, Patna: Janaki Prakashan Publisher, 1979;
- **Majumdar 1962:** R. C Majumdar, History of the Freedom Movement in India, Vol. I. Calcutta, 1962;
- **Sarkar 1914:** Hem Chandra Sarkar, Life And Letters of Raja Rammohun Roy, Compiled by Sophia Dobson Collet, Calcutta, 1914;
- **Pande: 1985:** B. N. Pande, A Centenary History of the Indian National Congress, Vol. I. 18851919. Bombay: All India Congress Committee, 1985;
- **Panikkar 1920:** K. M Panikkar, Indian Nationalism: The Origin, History, and Ideals, London: The Faith Press, 1920;
- **Sahgal 1970:** N Sahgal, Freedom Movement in India, New Delhi: National Council of Educational Research and Training, 1970;
- **Wedderburn 1913:** William Wedderburn, Allan Octavian Hume, C. B.: "Father of the Indian National Congress", 1829 to 1912. London: T. Fisher Unwin, 1913.

Giorgi Kelekhsashvili
MA Program in Modern and Contemporary History

AT THE FRONTLINES OF THE INDIAN NATIONAL-LIBERATION MOVEMENT (SUMMARY)

At the beginning of the 19th century, the social life of Indians was still dominated by medieval, feudal relations. In the absence of an unifying ideology of nationalism and patriotic feelings, the colonial government led by Great Britain through the East India Company easily subjugated the natives and made their exploitation more severe day by day in accordance with the growing imperialist interests. English officials were at the head of all tax, police, judicial and administrative apparatuses. The once powerful emperor of the Great Mughal Empire was actually turned into a puppet of the British. The Indian aristocracy was satisfied with its alliance with the colonizers and with the prosperity it derived from the plunder of its fellow lower classes. They often imitated the British, adopting their clothing and lifestyle to present themselves as "English". There was no sense of unity, no idea of India as a nation, or of Indians as a race. Only the representatives of the lower class periodically came out against the cruel exploitation, whose local uprisings of an economic nature, of course, would not have any significant political consequences. Based on the mentioned factors, no one could have imagined that in India, which was only a geographical concept, a revolution would be prepared in the minds of the population, the society divided into different classes or castes would connect with each other and at the end of the 19th century, this country would form one of the largest national movements that mankind has ever seen.